IV კლასი

მეოთხე კლასის ტესტის ჯამური ქულაა 100. ტესტში წარმოდგენილია 5 სავარჯიშო და სულ 30 საკითხი. ტესტი შედგება არჩევითპასუხიანი, დახურული ტიპის დავალებებისგან. ტესტის გამსვლელი ქულაა 35. ტესტი ამოწმებს მოსწავლის გრამატიკულ და ლექსიკურ ცოდნას, ასევე ტექსტის გააზრების უნარს. დავალებები მოიცავს არსებითი სახელის, ზმნის, სინონიმებისა და ანტონიმების, ნაცვალსახელების შესახებ საკითხებს და ტექსტის შინაარსის გააზრებას.

სავარჯიშო 1: არსებითი სახელი

ეს სავარჯიშო ამოწმებს მოსწავლის ცოდნას არსებითი სახელის შესახებ. მოსწავლემ უნდა შეძლოს ადამიანის სახელის ამოცნობა, განსაზღვროს რომელ სიტყვას დაესმის კითხვა „ვინ?“ ან „რა?“, ასევე უნდა შეძლოს წინადადებაში არსებითი სახელების პოვნა.

სავარჯიშო არის **10 ქულიანი** და შედგება **5 საკითხისგან**, შესაბამისად თითოეული საკითხის ქულა არის **2**.

მაგალითი:
რომელი სიტყვაა ადამიანის სახელი?
ა) მთვარე ბ) ელენე გ) ხე

სავარჯიშო 2: მოქმედების გამომხატველი სიტყვები და მათი დრო

ეს ნაწილი ამოწმებს მოსწავლის ცოდნას ზმნისა და მოქმედების დროის შესახებ. მოსწავლემ უნდა შეძლოს წინადადებაში მოქმედების გამომხატველი სიტყვის ამოცნობა, სწორად შეარჩიოს ზმნა წინადადების შინაარსის მიხედვით და განსაზღვროს, როდის ხდება მოქმედება — წარსულში, აწმყოსა თუ მომავალში.

სავარჯიშო არის **10 ქულიანი** და შედგება **5 საკითხისგან**, შესაბამისად თითოეული საკითხის ქულა არის **2**.

მაგალითი:
რომელი სიტყვა გამოხატავს მოქმედებას წინადადებაში: „ბავშვები მოედანზე დარბიან.“
ა) ბავშვები ბ) დარბიან გ) მოედანზე

სავარჯიშო 3: მსგავსი და საპირისპირო მნიშვნელობის სიტყვები

ეს სავარჯიშო ამოწმებს მოსწავლის ლექსიკურ ცოდნას. მოსწავლემ უნდა შეძლოს სიტყვათა მნიშვნელობის გააზრება და განსაზღვროს, არის თუ არა ისინი მსგავსი მნიშვნელობის (სინონიმური) თუ საპირისპირო მნიშვნელობის (ანტონიმური). მსგავსი დავალებები ხელს უწყობს მოსწავლის სიტყვათა მარაგის გამდიდრებასა და მნიშვნელობათა სწორ აღქმას.

სავარჯიშო არის **20 ქულიანი** და შედგება **5 საკითხისგან**, შესაბამისად თითოეული საკითხის ქულა არის **4**.

მაგალითი:
რომელი სიტყვაა „წინ“ საპირისპირო მნიშვნელობის?
ა) დიდი ბ) უკან გ) გრძელი

სავარჯიშო 4: ნაცვალსახელები

მეოთხე სავარჯიშო ამოწმებს მოსწავლის ცოდნას ნაცვალსახელების შესახებ. მოსწავლემ უნდა შეძლოს პირველი, მეორე და მესამე პირის ნაცვალსახელების ამოცნობა, სწორად გამოიყენოს ისინი წინადადებაში და განსაზღვროს, სად არის დაშვებული გრამატიკული შეცდომა.

სავარჯიშო არის **20 ქულიანი** და შედგება **5 საკითხისგან**, შესაბამისად თითოეული საკითხის ქულა არის **4**.

მაგალითი:

რომელი წინადადება შეიცავს მეორე პირის ნაცვალსახელს?
ა) ჩვენ სკოლაში მივდივართ.
ბ) შენ კარგად კითხულობ.
გ) ისინი ბაღში თამაშობენ.

სავარჯიშო 5: ტექსტის გააზრება

ამ ნაწილში მოსწავლეს ეძლევა საინფორმაციო ტექსტი, რომლის მიხედვითაც უნდა უპასუხოს შეკითხვებს. მოსწავლემ უნდა შეძლოს ტექსტში მოცემული ინფორმაციის სწორად გააზრება, მთავარი აზრის განსაზღვრა და კონკრეტული ფაქტების ამოცნობა. ეს ნაწილი ამოწმებს კითხვის, გააზრების უნარებს.

სავარჯიშო არის **40 ქულიანი** და შედგება **10 საკითხისგან**, შესაბამისად თითოეული საკითხის ქულა არის **4**.

ტესტის ბოლოს დამატებით მოცემულია **ბონუს-სექცია**, რომელიც შეიცავს **5 შეკითხვას**, თითოეული შეფასებულია **5 ქულით**. ეს ნაწილი მოსწავლეს აძლევს შესაძლებლობას მიიღოს დამატებითი ქულები და ნაწილობრივ აანაზღაუროს ტესტში დაშვებული შეცდომები